



## საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა

მე-3 შეხვედრა, 22 მარტი, 2018 წ.

### ერთობლივი დეკლარაცია

საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (სსპ) წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში შექმნილ ერთ-ერთ ორგანოს. ის საშუალებას აძლევს ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, განხორციელონ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი და მოამზადონ რეკომენდაციები შესაბამის ხელისუფალთათვის წარსადგენად.

საქართველო-ევროკავშირის სსპ-ს მესამე შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 11 მარტს. პლატფორმის წევრებმა განიხილეს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხრივ არსებული მდგომარეობა, გამართეს დებატები და დაამტკიცეს ანგარიშები საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებისა და საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმის შესახებ.

**ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

1. მივესალმებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში მიღწეულ პროგრესს და მოვუწოდებთ ორივე მხარეს, შეინარჩუნონ თავიანთი საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ვალდებულება;
2. მივესალმებით 2018 წლის 9 მარტს საქართველოს პრეზიდენტისა და ევროკომისიის პრეზიდენტის ერთობლივ განცხადებას, სადაც მათ გამოთქვეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის უმაღლესი დონის ორმხრივი დარგობრივი თანამშრომლობის ახალი ფორმატზე გადასვლის სურვილი და იმედი, რომ ახალი ინიციატივა ხელს

შეუწყობს საქართველოს ევროკავშირთან დარგობრივი ინტეგრაციის გაღრმავებას და მის შემდგომ დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასთან;

3. კმაყოფილებას გამოვთქვამთ მოკლევადიანი ვიზიტებისთვის მიღებული უვიზო რეჟიმის ეფექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საქართველოს ბევრმა მოქალაქემ ისარგებლა ვიზის ლიბერალიზაციით და ვაფასებთ ამ კონტექსტში მთავრობის ხელმძღვანელობით გამართულ აქტიურ საკომუნიკაციო კამპანიას;
4. მივესალმებით ახალი სახალხო დამცველის დანიშვნას და ვაფასებთ ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას;
5. ხაზს ვუსვამთ საქართველოში მიმდინარე საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების მნიშვნელობას, ასევე ეფექტურ კომუნიკაციასა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საჭიროებას, რომელთა მიზანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების შედეგად მოტანილი სარგებელის განმარტება ბიზნესისთვის, DCFTA-ის ეტაპობრივად ამოქმედების მიზნით;
6. გამოვხატავთ მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; შეშფოთებულები ვართ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების გახშირებითა და ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევებით, რომლებიც დღემდე ხდება საქართველოს ორივე სეპარატისტული რეგიონში;
7. მოვუწოდებთ ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, აღიარონ საქართველოს ევროპული პერსპექტივა ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 49-ე მუხლის შესაბამისად და რაზეც მოუწოდებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ევროპის პარლამენტის 2014 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია;
8. აღვნიშნავთ, რომ საქართველო-ევროკავშირის სსპ ინფორმირებული უნდა იყოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ და მოველით ასოცირების საპარლამენტო კომიტეტისა და ასოცირების კომიტეტის, მათ შორის სექტორული ქვეკომიტეტების წარმომადგენლებთან რეგულარულ კონტაქტებს. ამ მიზნით, ისინი ითხოვენ, რომ პლატფორმის წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ, დაესწრონ ქვეკომიტეტის სხდომებს საჭიროების შემთხვევაში; მოუწოდებენ საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარეს, ორგანიზება გაუკეთოს

პლატფორმის შეხვედრებს ასოცირების საბჭოსა და ასოციაციების კომიტეტების პარალელურად (შესაძლებლობის შემთხვევაში) და მოიწვიოს ასოცირების ინსტიტუტების წარმომადგენლები, რათა მათ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ პლატფორმის წევრებს;

9. მოვუწოდებთ შეთანხმების ორივე მხარის ორგანოებს, უზრუნველყონ მეტი ღიაობა სამოქალაქო საზოგადოების მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების უფრო ეფექტური მონიტორინგისა და ადვოკატირების მიზნით, რაც მოიცავს ამ ორგანოების შეხვედრების ამსახველ დოკუმენტაციაზე (როგორებიცაა, დღის წესრიგი, ანგარიშები, შეფასებები და სხვა შესაბამისი მასალები განსახილველად და აგრეთვე დასკვნები/ოქმები) სამოქალაქო საზოგადოების წვდომას და მასთან დაკავშირებით კომენტარებისა და წინადადებების წარმოდგენის პროცედურების არსებობას;

**კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

10. ვაღიარებთ საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, ამ მიზნით საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის მიერ შეტანილ კონსტრუქციულ წვლილს და მხარდაჭერას; აღვნიშნავთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით არ შეიმჩნეოდა ხელშესახები პროგრესი, რაც რჩება ერთადერთ ინკლუზიურ ფორმატად, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. გარდა ამისა, გრძელდება ინციდენტების ტრაგიკული ჯაჭვი, რომლებიც გამოწვეულია რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ადამიანის ძირითადი უფლებების უხეში დარღვევებით, დანაშაულებრივი ქმედებებისა და ტერორისტული აქტების განხორციელებით;<sup>1</sup>;
11. საქმეებისა და დამნაშავეთა მსჯავრდების გამჭვირვალე და ინკლუზიური გამოძიების უზრუნველსაყოფად მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო თანამეგობრობას, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, კონსოლიდირებული ძალისხმევა მიმართონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმ

---

• <sup>1</sup> გაიხსენეთ ახლახან მომხდარი შემთხვევები:  
– 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან საქართველოს მოქალაქის, გია ოთხოზორიას ღია და ცინიკური მკვლელობა, რის გამოც არ დასჯილა დამნაშავე;  
– 2018 წლის 28 თებერვალს გაურკვეველ ვითარებაში საქართველოს მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილი, რომელიც უკანონოდ დაატყვევა დე ფაქტო ცხინვალის ხელისუფლებამ და ჯერ კიდევ უარს ამბობენ მხვერპლის ოჯახისთვის მისი ცხედრის გადაცემაზე.

ორგანოებმა, რომლებიც ახორციელებენ ოკუპირებული ტერიტორიების ეფექტურ კონტროლს, ითანამშრომლონ ამ მიზნით;

**ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

12. ვაღიარებთ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს შექმნაში საქართველოს მიერ მიღწეულ ხელშესახებ პროგრესს; მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, მოაგვარონ ქვეყანაში არსებული რამდენიმე რადიკალური ჯგუფის აგრესიული და მუქარის შემცველი ქცევებისგან მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები;
13. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, დააჩქარონ შესაბამისი დამოუკიდებელი სტრუქტურის შესაქმნელად მიმდინარე სამუშაო პროცესი, რაც უზრუნველყოფს პოლიციაში, პენიტენციურ სისტემაში, სამხედრო სამსახურში და ა.შ. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მტკიცებების ეფექტურ, გამჭვირვალე და დამოუკიდებელ გამოძიებას.

**მედიის რეფორმებთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

14. აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონში შესული ბოლო ცვლილებები შეიცავს კომერციული და პოლიტიკური გავლენის გაზრდილ რისკებს და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოში მედიის მდგრადობაზე. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, განიხილოს კანონში ახალი ცვლილების შეტანა ჩატარებული მედია გარემოს სიღრმისეული კვლევის შედეგების საფუძველზე; მოვუწოდებთ ყველა შესაბამის დანტერესებულ მხარეს ამ პროცესში ჩართვისკენ;
15. აღვნიშნავთ მცირე კერძო მაუწყებლებისთვის დაწესებულ ფინანსურ შეზღუდვებს<sup>2</sup>, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საკუთრება და ეკონომიკური მდგრადობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მედია თავისუფლებისთვის; ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ფინანსური მდგრადობა მოიცავს მაღალ რისკებს, რომელთა ქვეშ შეიძლება დადგეს რეგიონალური მედიის დამოუკიდებლობა და ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ კერძო რეგიონული მედია ორგანიზაციები მიჩნეულ იქნას, როგორც მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მათ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა შესაძლებლობები გაეხსნას, როგორცაა EU4Business ინიციატივა;

16. რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს მთავრობას, მხარი დაუჭიროს მესამე ქვეყნებიდან მომდინარე დივერსიული პროპაგანდის რეგულარული მონიტორინგის განხორციელებას; მოვუწოდებთ ევროკავშირის ინსტიტუტებსა და წევრ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ დაფინანსება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების მხარდასაჭერად, რათა მათ შეძლონ საკუთარი სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების განვითარება, მაგ. ისეთი ღონისიებების განხორციელებით, როგორებიცაა რეგიონალურ დონეზე მედიის მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და აუდიტორიის გაზომვის სისტემის შესაძენად საჭირო თანხების გამოყოფა, გარე ექსპერტების უზრუნველყოფა მათი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, კამპანიების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობათაშორისი კოორდინაციისა და გადამზადების ხელშეწყობა;

**მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) განვითარებასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

17. მივესალმებით საქართველოს მთავრობის, EU4Business ინიციატივისა და East Invest 2 პროგრამის მიღწევებს საქართველოში მსს სექტორის გაუმჯობესებაში, ეკონომიკური მდგრადობის ამაღლებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში;

18. ხაზს ვუსვამთ ბიზნეს კანონმდებლობის გამარტივების, ვაჭრობისა და მშენებლობის ტექნიკური ბარიერების შემცირებისა და მდგრადი ინფრასტრუქტურის განახლების მეშვეობით ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების მხრივ მიღწეულ პროგრესს და მოვუწოდებთ მთავრობას, შეიმუშაოს დახმარების პროგრამები და კონკრეტული ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოებისა და სტარტაპების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ექსპორტის სტიმულირების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის პროდუქტიულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით;

19. აღვნიშნავთ შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების შეუსაბამობასა და მცირე რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას და ხაზს ვუსვამთ მიზნობრივი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, მათ შორის პროფესიული განათლებისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორში ჩართულ პირთა წვდომის გაუმჯობესების საჭიროებას;

20. მხარს ვუჭერთ კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგს, მოვუწოდებთ მთავრობას, გაზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნებზე რეაგირება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე; ხაზს ვუსვამთ ევროკავშირისა და ქართულ კომპანიებს შორის პოლიტიკური დიალოგისა და კოლეგიალური

განხილვის გაუმჯობესების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და ბიზნეს თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებას, ორმხრივ ვაჭრობას, შესაძლებლობების განვითარებას, ტექნოლოგიების გადაცემას, საბაჟო პროცედურებს, პროდუქტის სტანდარტებს და ინვესტირებას;

21. აღვნიშნავთ, რომ მსს ორგანოებმა და სააგენტოებმა, ასევე ბიზნეს ასოციაციებმა და ბიზნეს მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი შესაძლებლობები DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ეფექტური მომსახურების გაწევის მიზნით;
22. ხაზს ვუსვამთ იმ პროგრამების საჭიროებას, რომელთა მიზანია ინოვაციის სტიმულირება და ინოვაციური საწარმოების შექმნა საქართველოს ეკონომიკაში პროდუქციის, მომსახურებისა და პროცესების განვითარების, ტექნოლოგიისა და კომერციალიზაციის და ციფრული ეკონომიკაში ფირმების ჩართულობის მეშვეობით;
23. მხარს ვუჭერთ ყოვლისმომცველი პოლიტიკის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებას მსს პოლიტიკის ჩარჩოს შესაფასებლად და რეკომენდაციებს ვუწევთ, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი მცირე ბიზნესის აქტის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა;
24. ვითხოვთ პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებას მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების, ინვესტირების, ინოვაციებისა და ექსპორტის შესაძლებლობების ხელშესაწყობად ისეთ მთავარ ეკონომიკურ სექტორებში, როგორებიცაა აგრობიზნესი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტურისტული და მწვანე ეკონომიკა სსმ-ს ხელშეწყობის სქემების ინტერნაციონალიზაციისათვის;
25. მოვუწოდებთ ქალთა მეწარმეობის განვითარების საშუალებებთან დაკავშირებით მთავარ დაინტერესებულ მხარეთა (გადაწყვეტილების მიმღებთა და პრაქტიკოსთა) შორის ფართო გაგებისა და ისეთი კლიმატის შექმნის ხელშეწყობისკენ, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მოქმედი ბიზნესის გააქტიურებას, რესურსების უკეთ გამოყენებას საუკეთესო პრაქტიკის, ცოდნის გაზიარებისა და ხელშეწყობის, საწარმოო უნარ-ჩვევების, განათლებისა და გადამზადების, ფინანსებსა და საბრუნავ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით;
26. ხაზს ვუსვამთ უფრო დეტალური სტრუქტურული სტატისტიკის საჭიროებას საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტების რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად და ეროვნულ და სექტორულ დონეზე მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების შესაფასებლად;

**შრომით უფლებებთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

27. მივესალმებით სამმხრივი სოციალური დიალოგის ინსტიტუციონალიზაციის მხრივ გადადგმულ დადებით ნაბიჯებს, კერძოდ, შრომის კოდექსის შესაბამისი დებულებების შემდგომ განხორციელებასა და საქართველოს პარლამენტის მიერ სამმხრივი კონსულტაციების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N144 კონვენციის რატიფიცირებას. თუმცა ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია დასაქმებულების ფუნდამენტური უფლებების და გაერთიანების თავისუფლების სრული დაცვის უზრუნველყოფა, როგორც ეს განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით, შესაბამისი შრომითი ინსტიტუტების გაძლიერებისა და ყველა დონეზე სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გზით;
28. აღვნიშნავთ საქართველოს შრომით კანონმდებლობაში იმ სამართლებრივი რეგულაციებისა და მექანიზმების არარსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი შრომისთვის. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, შეიმუშაოს მეთოდოლოგია, რომელიც მოგვცემს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს გაზომვის საშუალებას და ცვლილებები შეიტანოს კანონში ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;
29. მიგვაჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსში არ არის წარმოდგენილი გენდერულად სენსიტიური დებულებები; ამ მხრივ მივესალმებით პროფესიული კავშირების გაერთიანებასა და გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის მიმდინარე თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტის ფარგლებში, რის შედეგადაც მოხდა შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავება, რომელთა მიღების პროცესის დაჩქარებაა საჭირო;
30. მივესალმებით შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ახალი კანონის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია; თუმცა, აღვნიშნავთ, რომ საჭიროა ახალი კანონის დახვეწა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ყველა დასაქმებულის შრომითი უფლებების დაცვისა და ყველა სამუშაო ადგილზე შრომის ინსპექტირების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ამიტომ მოვუწოდებთ მთავრობასა და პარლამენტს, დროულად შეიმუშაონ კანონი და მიიღონ ზომები მისი განხორციელების ეფექტურობის მონიტორინგის განსახორციელებლად.

სურსათის უვნებლობის სფეროში რეფორმებთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:

31. მივესალმებით მთავრობის ძალისხმევას სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სისტემის შექმნის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეთათვის უვნებელ სურსათზე წვდომისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას; საყურადღებოა, რომ რეფორმები ჯერ კიდევ არ შეხებია მთელ რიგ სფეროებს; აქედან გამომდინარე, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: საფრთხის შემცველი სურსათის მიკვლევადობა, მისი დაბინძურების წყაროების დადგენა; სურსათთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად მონაცემების შეგროვების დაწყება და მომხმარებლის სრულად ინფორმირება ბაზარზე საფრთხის შემცველი პროდუქტების აღმოჩენის შემთხვევებში.
32. საჭიროა კანონმდებლობის გაუმჯობესება განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების საქმიანობისწესებში სიცხადის შეტანის, ტრადიციული პროდუქტებისთვის სათანადო წესებისგან საზღვრისა და ყველა ტიპის სურსათის საწარმოებისთვის (პირველადი წარმოებისა და ტრადიციული პროდუქტების წარმოების გარდა) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის მოთხოვნების დანერგვის მკაფიო გრაფიკის შემუშავების მიზნით;
33. აუცილებელია ძალისხმევა სურსათის უვნებლობის სფეროში რეფორმის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, განსაკუთრებით თბილისის ფარგლებს გარეთ; სახელმწიფო უწყებებს, მომხმარებლებს, სასურსათო ბიზნესს, მედიასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ დიალოგს დიდი მნიშვნელობა აქვს სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის სანდოობისთვის.
34. მოვითხოვთ სურსათის უვნებლობის სანდო და თანმიმდევრული სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას და მოვუწოდებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, უზრუნველყოს ინტენსიური ტრენინგების ორგანიზება ახლად დასაქმებული ინსპექტორებისთვის სურსათის ტექნოლოგიებში, სურსათის ჰიგიენასა და სურსათის უვნებლობაში; მივესალმებით სამოქალაქო დარბაზების, საჯარო ფორუმების შექმნას, რომელთა მეშვეობითაც მთავრობა ეკონომიკური და სოციალური აქტორების პოზიციებს ისმენს, თუმცა მოვითხოვთ, ასეთი შეხვედრები უფრო ხშირად ჩატარდეს, უკეთ მოხდეს მათი ორგანიზება, რათა ისინი უფრო პროდუქტიული და შედეგზე ორიენტირებული გახდეს.



35. მოვითხოვთ ყოველწლიური და მრავალწლიანი კონტროლის გეგმების თაობაზე, ასევე ამ გეგმების აუდიტთან დაკავშირებით, საზოგადოებასთან დროულ და სათანადო კომუნიკაციას, იმისათვის, რათა, გაიზარდოს საზოგადოების ინტერესი და სასურსათო ბიზნესის მოტივაცია კანონის მოთხოვნების დასაცავად.
36. მოვითხოვთ მთავრობისგან, შექმნას ერთიან რამდენიმე რეფერენტული ლაბორატორია, რომლებიც მოიცავს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროში საქართველოში არსებული ლაბორატორიული კვლევების მეთოდების უმრავლესობას.
- 37.

**ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციასთან (HDM) დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

38. უფრო აქტიური ჩართულობისთვის ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს მმართველობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება შემდეგი ღონისძიებების გატარების მეშვეობით: ქვეყნის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM) პოლიტიკებისა და სტრატეგიების შემუშავება, შესაბამის სფეროში სამოქმედო გეგმების მომზადება; ეროვნული საგზაო რუკების შექმნა საქართველოში ციფრული ბაზრების ჰარმონიზების (HDM) ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

1. ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგი ღონისძიებების საჭიროებებზე:
  - ეროვნული ციფრული უნარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ევროკავშირის მსგავსი სტრატეგიების შესაბამისად. ეროვნული ციფრული უნარებისა და სამსახურების კოალიციის დაფუძნება ევროკავშირის უნარებისა და სამსახურების კოალიციის მოდელის საფუძველზე;
  - ევროპული ელექტრონული კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვა საქართველოში, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამუშაო სივრცეში გამოყენებულ 40-მდე კომპეტენციას და იყენებს საერთო ენას კომპეტენციებისთვის, უნარებისთვის, ცოდნისა და პროფესიული დონეებისთვის;
  - საქართველოში საპილოტედ შეიქმნას ციფრული ინფრასტრუქტურის შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ელემენტები: ტრანსსაზღვრო ელექტრონული ხელმოწერები, ციფრული სატრანსპორტო დერეფნების სერვისები და ერთიანი სავაჭრო ქსელი;
2. საქართველომ აიღო ვალდებულება შეესრულებინა ქვენაწილი 2, საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის მუხლების 129-133 მოთხოვნები ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის

განმავლობაში, რაც დღემდე არ განხორციელდა. მოვუწოდებთ ეკონომიკის სამინისტროს, დააჩქაროს სამუშაო ზემოთ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად 2018 წლის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

3. მოვუწოდებთ მთავრობას, უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის ჩართულობა აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის მუშაობაში, მათ შორის: სემინარებში, ვორქშოპებში, პანელ-სხდომებში, მინისტერიალში და სხვა დონისპიეებში გამოყოფილი კვოტების ფარგლებში;

**ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP)/ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) საკითხებზე თანამშრომლობასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

4. მივესალმებით წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოსა და ევროკავშირის შორის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით; კმაყოფილებით აღვნიშნავთ საქართველოს მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში რესპუბლიკა მალიში, ცენტრალურ აფრიკასა და უკრაინაში; მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, შექმნას სამართლებრივი საფუძველი და ინსტიტუციური სტრუქტურა, უზრუნველყოს შიდასამთავრობო კოორდინაცია და შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, პერსონალის გადამზადება, ევროკავშირის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სამოქალაქო ოპერაციებში ქართველი პროფესიონალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით;
5. მივესალმებით ევროკავშირს, მის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს შორის კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას;
6. მოვუწოდებთ ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას, გააძლიერონ ინსტიტუციონალური თანამშრომლობა, რათა წინ აღუდგნენ ახალ საფრთხეებს, კერძოდ ჰიბრიდულ ომს, საინფორმაციო ომს და კიბერ თავდასხმებს; მოვუწოდებთ ევროკავშირს, ამ მიმართულებით გაზარდოს დახმარება საქართველოსთვის ევროკავშირის გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიით გათვალისწინებული მდგრადობის ადეკვატური დონის მიღწევის მიზნით;

**ადამიანების გადაადგილებასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

7. მოუწოდებთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს მთავრობას, გაზარდონ მათი მხარდაჭერა დროებით ლეგალურ მიგრაციასთან (ექსპერტიზა, კვლევა, ცირკულარული მიგრაციის სქემების შემუშავება, ხელშეკრულებების ხელმოწერა) დაკავშირებით სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობა მობილობისთვის, 2009 წელს ბრიუსელში ხელმოწერილი ინიციატივის ფარგლებში;
8. მოუწოდებთ საქართველოს მთავრობას და ევროკავშირს, გააქტიურონ ძალისხმევა, მათ შორის ფართო საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის ყალბი მოთხოვნის, არალეგალურად დარჩენისა და გაუცხადებელი დასაქმების მიზნით ჩასვლის პრევენციისთვის; ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მოვითხოვთ ერთიან მიდგომას, რომ გამოაცხადონ საქართველო, როგორც უსაფრთხო ქვეყანა, რომელიც მოაგვარებს ცრუ თავშესაფრის მამიებლებთან დაკავშირებულ საკითხს;

**გარემოსდაცვით პოლიტიკასთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

9. მოუწოდებთ მხარეებს, გააძლიერონ თანამშრომლობა და განიხილონ გზები და საშუალებები ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების, მათ შორის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, ასევე სასოფლო-სამეურნეო სექტორში გაძლიერონ მავნებლებთან ბრძოლის მართვის სტრატეგიები, უზრუნველყონ კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება. .
10. მოუწოდებთ საქართველოს მთავრობას ,გააქტიუროს მუშაობა გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის გასაუმჯობესებლად წყლების, ქალაქებში ჰაერის ხარისხის ერთიანი საინფორმაციო სისტემების შესაქმნელად რაც ევროკავშირის დირექტივების მიხედვით არის განსაზღვრული, ასევე გააძლიეროს მუშაობა საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად შავი ზღვის სანაპირო ზონის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად, განახორციელოს გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის ინდიკატორების ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად;

**ენერგეტიკის სფეროში რეფორმებთან დაკავშირებით საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:**

11. მივესალმებით საქართველოს მიერ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის რეგულაციების დაცვას და მოუწოდებთ მხარეებს, გააძლიერონ თანამშრომლობა

ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებით წარმოქმნილი ვადებთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების მიზნით; გაზარდონ მთავრობისა და არასამთავრობო აქტორების შესაძლებლობა, რომ ჩაერთონ კონსტრუქციულ დიალოგში დაინტერესებულ მხარეებთან და უზრუნველყონ რეფორმების გამჭვირვალობა და მდგრადობა;

12. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გაზარდოს შესაძლებლობები და დანერგოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის პრაქტიკა, გააღრმავოს სფეროში პოლიტიკური დიალოგი, რაც მოიცავს ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებასა და განახლებადი (განსაკუთრებით კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურისა და ქარის) ენერჯის განვითარებას, ხელი შეუწყოს საქართველოში ენერგოსექტორის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პროფესიულ ზრდასა და განათლებას.